ჰემატოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი ასმათ შენგელაია
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნინა ლოლაშვილი

ჰემატოლოგიის დეპარტამენტი

ჰემატოლოგიის დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ჩამოყალიბდა 2006 წელს მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის საფუძველზე. ხელმძღვანელია პროფესორი ასმათ შენგელაია – მედ. მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური ექსპერტი ონკო-ჰემატოლოგიის დარგში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია ოთხი საკანდიდატო დისერტაცია. იგი არის 44 სამეცნიერო სტატიისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, მისი ბოლო ნაშრომია მონოგრაფია „მწვავე ლეიკემიები ბავშვთა ასაკში“, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა. ასმათ შენგელაია არის 4 ნაციონალური გაიდლაინის ავტორი, „BFM'' პროგრამის ნაციონალური კოორდინატორი საქართველოში და „საქართველოს ჰემატოლოგთა და ონკო-ჰემატოლოგთა ასოციაციის“ პრეზიდენტი 2000 წლიდან დღემდე.

დეპარტამენტში, ასევე, მუშაობს მედ. მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი ნინა ლოლაშვილი, რომელიც არის 4 ნაციონალური გაიდლაინის და 3 სახელმძღვანელოს თანაავტორი. მის მიერ გამოქვეყნებულია 32 სამეცნიერო სტატია.

ჰემატოლოგიის დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როგორც სასწავლო, ასევე სამედიცინო საქმიანობაში.